ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N5

სხდომის ჩატარების დრო:
22 თებერვალი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაგდა კოსტავა, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, მაია სიმონიძე, ბესიკ ხამაშურიძე, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

კომისიის წევრი ამირან კოპალეიშვილი, ობიექტური მიზეზის გამო, სხდომას ესწრებოდა „ზუმის" ონლაინ პლატფორმის მეშვეობით.

სულ: 13 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მამუკა რიჟამაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

სულ: 3 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **ვალერი სილაგაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან სანიკიძემ** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

2.თვითმმართველი ქალიქის-ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 30 აგვისტოს N1089 ბრძანებით, მოქალაქე ვარლამ დარსაველიძისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემული, ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონფიგურაციის ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

3.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მამუკა რიჟამაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის-**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ."**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „როგორც მოგეხსენებათ, კანონის თანახმად, ყოველწლიურად, არაუგვიანეს თებერვლის თვისა, ყველა მუნიციპალიტეტში ხდება მიწის ნორმატიული საფასურის განსაზღვრა საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, აუდიტის დასკვნის საფუძველზე ჩვენ გამოვაცხადეთ შესყიდვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წარმოდგენილია აუდიტორული კომპანია „კომპაუდის" მიერ დადებული დასკვნა. ქუთაისში არსებული ტერიტორიების ღირებულება ზონებისა და ქვეზონების მიხედვით დადგენილებას, დანართის სახით თან ახლავს."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასხლისი:** „რა არის შეფასების კრიტერიუმი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „აუდიტორული კომპანიის მიერ ფასების დადგენის შიდა წესებში ჩარევის უფლება ჩვენ არ გვაქვს, ფასებს საბაზრო ღირებულებასთან შეფარდებით ადგენს უშუალოდ აუდიტორი."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ვთქვათ, აღნიშნულმა კომპანიამ გამოგვიცხდა, რომ ფასები დაწეულია მთელს მსოფლიოში და დაგვიდგინა არარეალური ღირებულება, ამ შემთხვევაში ბრმად უნდა დავეთანხმოთ? წარმოდგენილი დადგენილების პროექტში ვხედავთ შემდეგს, ზოგან ფასი მომატებულია 50 ლარით, ზოგან 15-ით, ზოგან კი საერთოდ არ გაძვირებულა, მაინტერესებს ეს არაპროპორციული მატება რა პრინციპით დაადგინეს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, რომ აუდიტის კომპეტენციაში ჩვენ ვერ ჩავერევით, თუმცა მოგახსენებთ, ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, აუქციუნების სტატისტიკა დაედო საფუძვლად, ჩვენ გვაქვს წვდომა, ვნახოთ წინა წლებში პირობითად 32 ლარიანი მიწა რეალურად რამდენად გაიყიდა."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „მაინტერესებს, საიჯარო ღირებულებაც შესაბამისად აიწევს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და

ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „დიახ ბატონო თემურ, გაიზრდება პირდაპირპროპორციულად.“

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „დადგენილი ღირებულება არის საბაზისო, რომელსაც ადგენს ხსენებული აუდიტორული კომპანია, მაგრამ შემდეგში, როდესაც კონკრეტული ობიექტი ან ნაკვეთი, რომელიც გამოდის, მას აფასებს ცალკე აუდიტორი და ეს არის გადამწყვეტი, ამის შემდეგ ტარდება აუქციონი და იყიდება საბაზრო ღირებულებით, ანუ ჩვენ რა ნორმატიულ ფასასც ვადგენთ, ეს არის საწყისი, რომლის მიხედვითაც შემდეგ ვხელმძღვანელობთ, მაგრამ აქ ყველაზე მთავარი ჩემი აზრით არის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რაზე დაყრდნობით მოხდა ამ ფასების ჩამოყალიბება და ფორმირება. თუ იქნება საშუალება მოგვაწოთ, რომ გავეცნოთ იმ მეთოდოლოგიას რითიც იხელმძღვანელა ექსპერტმა.“

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „როდესაც მაღალია მიწის საპრივატიზებო საფასური, ქალაქის პრესტიჟისთვის კარგია, ანუ დაინტერესება მაღალია და არ არის იაფიანი ქალაქი.“

კომისიის წევრი, ბატონი **კობა გურული:** „პირობითად 2.1 ზონაში წინა წელს თუ იყო საფასურის 7%იანი ზრდა, ახლა დაფიქსირდა- 22%-იანი და რამ გამოიწვია ამხელა სხვაობა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „ამ ზონაში შედის წყალტუბოს გადასახვევთან არსებული ტერიტორიები და თვალს თუ მივადევნებთ, კონკურენცია ძალიან მაღალია, სამმაგ ფასში იყიდება ტერიტორიები.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „მე ვფიქრობ, ამ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე კონკურენცია ყოველთვის იქნება, ფასებს ბაზარი ადგენს, ხოლო საწყის ათვლის წერტილს ადგენს აუდიტორი და ჩვენ კი ვენდობით აუდიტის დასკვნას.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მამუკა რიჟამაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით,(მომხრე: 9 წევრი, თავი შეიკავა: ქალბატონმა ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: ბესიკ ბრეგაძემ, გიორგი კილაძემ, გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის-„**თვითმმართველი ქალიქის-ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 30 აგვისტოს N1089 ბრძანებით, მოქალაქე ვარლამ დარსაველიძისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემული, ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონფიგურაციის ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „საუბარია 17 კვადრატული მეტრის ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე, რომლის კონფიგურაციის ცვლილებასაც ითხოვს მოქალაქე.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „2013 წელს, როდესაც ეს მიწა გადაეცა ამ პიროვნებას, იქ მხცოვრები მოსახლეობა წინააღმდეგი იყო და მშენებლობა რომ არ დაწყებულიყო დადგეს ჯვარი, შემდეგში ეს ფართი გაიჯარდა და 3 ნაწილად არის გაყოფილი სამ მფლობელზე, გიორგი თევდორაძე, ლევან ცქიფურიშვილი და ნინო ჟორჟოლიანი, ახლა ისინი ითხოვენ რეალურად ამ კონფიგურაციის შეცვლას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „ვარლამ დარსაველიძეს 2013 წელს მიწის ნაკვეთი გადაეცა აღნაგობის უფლებით, შემდეგ მერიის თანხმობით მან გაასხვისა ეს აღნაგობის უფლება და იყიდეს ამ ადამიანებმა.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „როგორც გავიგე, რადგან იქ მაცხოვრებელმა მოქალაქეებმა იმ კონკრეტულ ადგილზე ააშენეს ჯვარი და არ მისცეს მშენებლობის უფლება, ჩვენ ვადგენთ იმის კანონზომიერებას და იმ ფართის სანაცვლოდ ზემოაღნიშნულ პიროვნებებს უნდა გადაეცეთ სხვა ტერიტორია და ცვლილება ამაში მდგომარეობს."

საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „აღნიშნული საკითხის საქმის კურსში ვარ მეც, ჩემი თანამშრომელი ცხოვრობს და მეც ვიყავი ჩართული, მოსახლეობა წერილით შემოვიდა ბატონ იოსებთან, წინააღმდეგები იყვნენ ამ მშენებლობის, საბოლოოდ მოხდა ისე, რომ თევდორაძე შეთანხმდა მოსახლეობასთან და შეპირდა მათ სკვერის მოწყობას."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ვფიქრობ, არასწორია განკარგულების პროექტში იმის მითითება, რომ კონტროლი უნდა განახორციელოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ, ეს იურიდიულად გაუმართავი ფორმაა და უმჯობესი იქნებოდა კონტროლის ვალდებულება აეღო თვითონ ქალაქის მერს თავის თავზე, მაშინ თავიდან ავიცილებდით ბევრი საკითხის შემოტანას საკრებულოზე. ვფიქრობ ეს წინადადება განსახილველია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „მოგახსენებთ ბატონო გიგა, აქ კონკრეტულად მშენებლობაზე კონტროლი არ იგულისხმება, ეს გულისხმობს, რამდენად შევასრულებთ კანონით გათვალისწინებულ ქმედებებს თანმიმდევრულად, მოცემულობიდან გამომდინარე."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მამუკა რიჟამაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით,(მომხრე: 7 წევრი, თავი შეიკავა: ქალბატონებმა ნინო ჩიკვაშვილმა, ელეონორა არჩაიამ, წინააღმდეგი: ქალბატონი ნინო ბიბილეიშვილი, ბატონები: ბესიკ ბრეგაძე, გიორგი კილაძე, გრიგოლ შუშანია) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „თვითმმართველი ქალიქის- ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 30 აგვისტოს N1089 ბრძანებით, მოქალაქე ვარლამ დარსაველიძისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით

გადაცემული, ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონფიგურაციის ცვლილების თაობაზე“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის-**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „კომპოსტირების ცენტრისათვის მიწის ნაკვეთი უნდა გადავცეთ ააიპ „სპეციალურ სერვისებს“, სადაც რეალურად აშენებულია უკვე შენობები, უბრალოდ იურიდიულად გამართული რომ იყოს, მათ მფლობელობაში გადავა აღნიშნული მიწის ნაკვეთი.“

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მამუკა რიჟამაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების

გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების გამო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან სანიკიძემ, კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ლევან სანიკიძე